

საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურა და ქალთა მონაწილეობა 1990-2008 წლებში¹

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი
ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორანტი

დღევანდელ მსოფლიოში, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის კვალდაკვალ, ქალთა როლი და ზეგავლენა კონფლიქტების მოგვარებისა და ტრანსფორმაციის მიმართულებით აქტიურად განიხილება. 2000 წელს მიღებული გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია №1325, პირველი იყო, რომლითაც განისაზღვრა სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური დამოკიდებულება და ვალდებულებები ქალთა მიმართ შეიარაღებული კონფლიქტებისას. გაერო-ს რეზოლუცია ავალდებულებს სახელმწიფოს, ხელი შეუწყოს ქალთა და გოგონათა საკითხის გააქტიურებას კონფლიქტებში, მათი, როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის როლის სამართლებრივად გადაწყვეტისას.

საქართველოს, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტს, გაერო-ს რეზოლუცია №1325-ით, იმთავითვე დაეკისრა ვალდებულება, რომ სამშვიდობო პროცესებში, სხვასთან ერთად, სრულფასოვნად ჩართოს ქალები და ამისთვის შესაბამისი მექანიზმები უზრუნველყოს, რადგან „აღიარებს რა ქალებსა და გოგონებზე შეიარაღებული კონფლიქტის ზეგავლენას, ასევე მათი დაცვისა და სამშვიდობო პროცესებში სრულად ჩართვის უზრუნველყოფი ეფექტური ორგანიზაციული მექანიზმების არსებობას, შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებასა და დამკვიდრებაში“.

წინამდებარე კვლევაში წარმოდგენილია 1990-2008 წლების სამშვიდობო ინფრასტრუქტურა და ქალთა მონაწილეობის მაჩვენებელი საქართველოში. ნაშრომში მხოლოდ აღნიშნული პერიოდია განხილულია, რადგან საქართველოს სამშვიდობო პროცესის პირველი ეტაპი დასრულდა 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენებით, რის შემდეგ, 2008 წლის 12 აგვისტოდან, დაიწყო სამშვიდობო პროცესის მეორე ეტაპი, როდესაც ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმების 6-პუნქტიან ხელშეკრულებას. სამშვიდობო პროცესის მეორე ეტაპმა ჩაანაცვლა პირველი და ამით მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია სამშვიდობო ინფრასტრუქტურაში. სამშვიდობო პროცესის მეორე ეტაპი დღემდე გრძელდება ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების (Geneva International Discussions (GID)) ფორმატში.

სამშვიდობო ინფრასტრუქტურის ცნება, პირველად, ჯონ პოლ ლედერახმა 1980-იან წლებში შეიმუშავა და მოგვიანებით, თავის ნაშრომში, „მშვიდობის მშენებლობა: მდგრადი შერიგება დაყოფილ საზოგადოებებში“, გამოაქვეყნა (Lederach, 1997).

2010 წელს გაერო-მ სამშვიდობო ინფრასტრუქტურის გაგება აღწერა, როგორც უნარების, შესაძლებლობების, რესურსების, ინსტრუმენტებისა და ინსტიტუციების დინამიური ქსელი, რომელიც ხელს უწყობს კონსტრუქციული სოციალური ურთიერთობების დამყარებას და აძლიერებს საზოგადოებებს,

¹ ციხისთავი-ხუციშვილი, ნ. (2020). საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი “ინტელექტუალი”, 40, 96-106.

წინ აღუდგნენ ძალადობას. გაერო-ს განმარტებით, სამშვიდობო ინფრასტრუქტურა არის:

„ურთიერთდამოკიდებული სტრუქტურების, მექანიზმების, რესურსების, ფასეულობებისა და უნარების დინამიური ქსელი, რომელიც დიალოგისა და კონსულტაციის გზით, ხელს უწყობს კონფლიქტის პრევენციასა და საზოგადოებაში მშვიდობის დამყარებას“ (UNO, 2020).

თავად ტერმინი „სამშვიდობო ინფრასტრუქტურა“ არ მოიაზრებს რაიმე ფიზიკურ კონსტრუქციას და ან შენობას, არამედ, გულისხმობს იმგვარი პოლიტიკის განხორციელებას, ისეთი პროცესების ხელშეწყობას, რაც კონსტრუქციულ დიალოგში გარდაქმნის დაპირისპირებულ ურთიერთობებს და გახლეჩილ საზოგადოებათა ჯგუფებს ურთიერთობათა მოწესრიგებაში დაეხმარება. გაერო-ს მიდგომით, სამშვიდობო ინფრასტრუქტურა წარმოადგენს სახელმწიფოში არსებული ინსტიტუტების, სამშვიდობო პროცესებისა და სახელმწიფო პოლიტიკის ერთობლიობას, რაც, საბოლოო ჯამში, აძლიერებს და ხელს უწყობს საზოგადოებას, შეაჩეროს, წინ აღუდგეს ძალადობრივ, შეიარაღებულ კონფლიქტს. ლედერახმა, თავის მხრივ, სამშვიდობო ინფრასტრუქტურა შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომი სამშვიდობო პროცესის მთავრ შემადგენელ ნაწილად შეაფასა მდგრადი მშვიდობის მიღწევის გზაზე (Lederach, 2013).

სამშვიდობო ინფრასტრუქტურის კონცეფციამ მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის აღიარება მოიპოვა. გაერო-ს განვითარების პროგრამამ ხელი შეუწყო სამშვიდობო ინფრასტრუქტურათა შექმნას 30-ზე მეტ ქვეყანაში, სადაც კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და მშვიდობის მშენებლობის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მრავალ ინიციატივას დაუჭირა მხარი (Kovacs & Tobias, 2016).

ჯისმანმა, თავის ნაშრომში „დამონტაჟებული მშვიდობა - სამშვიდობო ინფრასტრუქტურები: მიდგომები და ნასწავლი გაკვეთილები“ (Giessmann, 2016) განსაზღვრა სამშვიდობო ინფრასტრუქტურის ორი ტიპი: მარტივი და განვითარებული ტიპის სამშვიდობო ინფრასტრუქტურა. ავტორის შეფასებით, შეიარაღებული კონფლიქტის დასრულებისთანავე, ცეცხლის შეწყვეტისა და სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელების საიმედო მექანიზმების შექმნა პრობლემურია, რადგან არ არსებობს ორმხრივი ნდობა. სწორედ ამ დროს, მხარეთა შორის შეთანხმებით შექმნილი სტრუქტურები და მექანიზმები ასრულებენ მარტივი სამშვიდობო ინფრასტრუქტურის ფუნქციას. ხოლო განვითარებულ სამშვიდობო ინფრასტრუქტურას, ჯისმანის აზრით, შეუძლია ჩაანაცვლოს (ან მომავალში აღადგენინოს) აღმასრულებელი, საკანონმდებლო ორგანოსა და სასამართლო სისტემის ფუნქციები, თუ კონფლიქტის შემდეგ ასეთი ლეგიტიმური სტრუქტურა და მმართველობა ჯერ კიდევ არ არსებობს. ჯისმანმა თავის ნაშრომში გამოყო სამშვიდობო ინფრასტრუქტურის შემდეგი პრინციპები: მონაწილეობა, უნაკლუხიურობა და თანამშრომლობა. ეს პრინციპები, ავტორის შეფასებით, წარმოადგენს მხარეთა დიალოგის, სამშვიდობო კომისიებისა და მედიაციის განხორციელების საფუძველს.

საქართველოში სამშვიდობო ინფრასტრუქტურის შექმნასა და გაძლიერებას თავისი ისტორია აქვს. თუმცა, ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევების ნაკლებობა სახეზეა. კიდევ უფრო მწირია ქალთა მონაწილეობის სურათი საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურაში.

რამოდენიმე ნაშრომში გაანალიზებულია პოსტ-კონფლიქტური პერიოდის არაფორმალური დიალოგი, მაგრამ მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების სამშვიდობო საქმიანობის მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურას მხოლოდ ცალმხრივად

ახასიათებს. ასეთი შეფასების საფუძველს სამშვიდობო ინფრასტრუქტურის საყოველთაოდ აღიარებული განმარტება იძლევა. ამ განმარტებით, სამშვიდობო ინფრასტრუქტურა არის ურთიერთდამოკიდებული სისტემების, რესურსების, ფასეულობებისა და უნარების ქსელი, რომლითაც მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოება და საზოგადოებრივი ინსტიტუტები ხელს უწყობენ დიალოგსა და საზოგადოებაში ძალადობის წარმოშობისა და შეამავლობის გზით ახორციელებენ კონფლიქტის თავიდან აცილებას (UNDP, 2013).

2014 წლის გაერო-ს განვითარების პროგრამის წლიურ ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურის განვითარებას, ტრადიციულად, ხელს უწყობს გაერო-ს მუდმივი კოორდინატორი (the Resident Coordinator (RC)). 2011 წელს, გაერო-ს მუდმივმა კოორდინატორმა მშვიდობისა და განვითარების მრჩეველებთან (Peace and Development Advisors (PDAs)) ერთად ხელი შეუწყო მონაწილეობითი კონტექსტური ანალიზის პროცესს საქართველოში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციებისა ელჩების ჩართულობით. მიღებული დოკუმენტი გაერო-ს მიერ შეფასდა, როგორც საერთაშორისო აქტიორების მონაწილეობის პირველი ცდა, რომლის დროსაც ერთობლივად გამოკვეთეს სამშვიდობო პროცესის პრობლემები საქართველოში.

საქართველოს კონფლიქტის ტრანსფორმაციაში სამშვიდობო ინფრასტრუქტურის როლზე საუბრისას (Khutsishvili, 2013), ავტორი კრიტიკულად აფასებს ხელისუფლების როლს სამხრეთ კავკასიაში. მისი შეფასებით, ქვეყანაში არსებული დემოკრატიის განვითარების დაბალი ხარისხი სამშვიდობო ინფრასტრუქტურის განვითარებას უშლის ხელს. ავტორის აზრით, ადგილობრივი პოლიტიკური მმართველი ელიტები არ თანამშრომლობენ სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებელ ინსტიტუტებთან და, განასა და კენიის მაგალითებისაგან განსხვავებით, არ არიან დაინტერესებულნი, ხელი შეუწყონ სამშვიდობო ინფრასტრუქტურის გაძლიერებას მრავალმხრივი და მრავალდონიანი თანამშრომლობით.

2018 წელს ორგანიზაციამ - კონფლიქტის ტრანსფორმაცია და სამოქალაქო განათლება (CRISP), გამოსცა სახელმძღვანელო სამშვიდობო პრაქტიკის თემატიკაზე (Dunkel & Pavlova, 2018). სახელმძღვანელოში აღწერილია სხვადასხვა ქვეყნის სამშვიდობო ინფრასტრუქტურა 2015-2018 წლებში. მათ შორის მიმოხილურია საქართველოს მაგალითიც. სამშვიდობო ინფრასტრუქტურა, პირობითად, დაყოფილია სამ ძირითად დონედ და მოიცავს ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით ხორციელდება. საქართველოში, შესაბამისად, მკვლევრებმა გამოკვეს სამთავრობო, სამოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო, საუნივერსიტეტო საქმიანობათა დონეები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კვლევა საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურის აღწერისას მხოლოდ 2015-2018 წლებს მიმოხილავს, ის მნიშვნელოვანია, რადგან ერთ-ერთი პირველი მცდელობაა, დაარუკოს და შეაფასოს საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურა. უდავოა, რომ ამ მიმართულებით სრულმასშტაბიანი სურათის წარმოდგენა ჯერ კიდევ მომავალი კვლევის საგანია.

საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურის შემადგენელი კომპონენტები

საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურის შემადგენელი კომპონენტები შეიძლება შემდგენაირად წარმოვიდგინოთ:

I. ეროვნული ხელისუფლების (აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება) მიერ შექმნილი სტრუქტურები შეიარაღებული კონფლიქტების მოწესრიგების მიზნით;

II. საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით შექმნილი ფორმალური სტრუქტურები (ორმხრივი, მრავალმხრივი) შეიარაღებული კონფლიქტების მოწესრიგების მიზნით;

III. საერთაშორისო და ადგილობრივი (ეროვნული) ორგანიზაციების მიერ ინიცირებული არაფორმალური სტრუქტურები (ორმხრივი, მრავალმხრივი) შეიარაღებული კონფლიქტების მოწესრიგების მიზნით.

1990-იან წლებში, საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების ცხელ ფაზაშივე ჩაისახა სამშვიდობო მიმართულება. ამ დასკვნის საშუალებას საარქივო დოკუმენტური მასალის ანალიზი იძლევა. თუმცა, რთულია იმის შეფასება, თუ რამდენად გაცნობიერებული იყო სამშვიდობო მიმართულების სრული მნიშვნელობა და რამდენად უჭერდა მხარს, იმდროინდელი ომით დაზარალებული საზოგადოება, მშვიდობიანი გზით კონფლიქტების ტრანსფორმაციას. ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანია, თუმცა, სამშვიდობო მიმართულებისთვის შექმნილი სახელისუფლო სტრუქტურების რაოდენობრივი მახასიათებელი და ქრონოლოგია, საფუძველს იძლევა, თვალი შევაგლოთ ინფრასტრუქტურის სახელისუფლო დონეს, მის შექმნასა და განვითარებას.

კვლევის საგანი და მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების შემდგომ, 1990-2008 წლების სამშვიდობო ინფრასტრუქტურისა და მისი გენდერული პროფილის, რაოდენობრივი აღწერა. აღნიშნული პერიოდის საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურის შესწავლის მიზნით, გამოყენებულია საქართველოს სამშვიდობო ხელშეკრულებები, საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები და სხვა დოკუმენტები. კვლევაში გამოყენებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ბაზა, რომელშიც დაცულია ხელისუფლების საკანონმდებლო ნორმატიული აქტები, საფუძველზეც შეიქმნა კონფლიქტის მოწესრიგებისა და სამშვიდობო მიმართულების ინსტიტუციები.

საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურის კვლევაში განხილულია მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების მიერ სპეციალურად კონფლიქტის მოწესრიგების მიზნით შექმნილი სტრუქტურების რაოდენობრივი მაჩვენებლები, მოტანილია ქრონოლოგია და წარმოდგენილია ქალთა მონაწილეობის მაჩვენებლები აღნიშნულ სტრუქტურებში.

კვლევაში არ შესულა საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების მხარეთა ოფიციალური წარმომადგენლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა მესამე, ნეიტრალური მხარის მონაწილეობით შექმნილ სამშვიდობო ინფრასტრუქტურა; აგრეთვე, სამოქალაქო სექტორის მიერ შექმნილ სამშვიდობო არაფორმალური სტრუქტურები; კვლევა არც შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის შექმნილ სტრუქტურებს მიმოიხილავს. თუმცა, სამომავლოდ, საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურის სრული სურათის მისაღებად, აღნიშნული კომპონენტები კვლევის საგანი უნდა გახდეს.

საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიერ შექმნილი სტრუქტურები 1991-2008 წლებში: საქართველოს პარლამენტი

1991-2008 წლებში საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ კონფლიქტების მოწესრიგების მიზნით შექმნილი 10 სტრუქტურა დაჯგუფდა მათი საქმიანობის ფუნქციური ხასიათისა და იერაქრიის მიხედვით, რაც დადგენილია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით. საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიების, სხვა სათათბირო ორგანოების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით. საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად, კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა 1990-იანი წლებიდან 2008 წლის აგვისტოს ომამდე სულ 10 სტრუქტურა შექმნა: უმაღლესი საბჭო (სულ 1); ფრაქციათაშორისი ჯგუფი (სულ 1) და კომისია (სულ 8). იხილეთ ცხრილი №1:

საქართველოს ეროვნული სტრუქტურები კონფლიქტების მოგვარებისთვის

1990-2008 წწ.

საქართველოს პარლამენტი			
1	აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში საკითხების შესასწავლი კომისია	26 ივლისი	1990 წელი
2	საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის საქმეთა კომისია	26 ნოემბერი	1992 წელი
3	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო	24 თებერვალი	1995 წელი
4	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოკვლევის დროებითი საპარლამენტო კომისია	6 თებერვალი	1996 წელი
5	აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია	13 ივნისი	
6	ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია	სექტემბერი	
7	საქართველოს პარლამენტის ფრაქციათშორისი შემთანხმებელი ჯგუფი (ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კონცეფციის შესამუშავებლად)	3 აპრილი	1997 წელი
8	აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია	28 დეკემბერი	1999 წელი
9	ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია	28 დეკემბერი	
10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი საპარლამენტო კომისია	13 ივნისი	2008 წელი

ცხრილი №1: საქართველოს პარლამენტის სამშვიდობო სტრუქტურები 1990-2008 წწ.

წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით.

საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიერ შექმნილი სტრუქტურები 1991-2008 წლებში: საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად, კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით, საქართველოს მთავრობამ აღნიშნულ პერიოდში სულ 31 სტრუქტურა შექმნა: საქართველოს

პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი (სულ 1); მინისტრთა კაბინეტი (სულ 1); სახელმწიფო მინისტრის აპარატი (სულ 4); დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (სულ 1); კომიტეტი (სულ 2); აპარატი (სულ 1); ჯგუფი (სულ 2); კომისია (სულ 12); საბჭო (სულ 3); შტაბი (სულ 2); საინფორმაციო უზრუნველყოფა (სულ 2). იხილეთ ცხრილი №2.

**საქართველოს ეროვნული სტრუქტურები კონფლიქტების მოგვარებისთვის
1990-2008 წწ.**

საქართველოს მთავრობა		
1992 წელი		
1	2 ოქტომბერი	საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი - აფხაზეთის რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო წარმომადგენელი - გ.ხაინდრავა სახელმწიფო მინისტრი
2	9 ნოემბერი	საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის ჯარების ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის პრობლემების გადაწყვეტის კომისია
3	24 ნოემბერი	საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი - ვ.ვაშაკიძე კომიტეტის თავმჯდომარე
4	26 ნოემბერი	აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტი. ხელმძღვანელი თამაზ ნადარეიშვილი
1993 წელი		
5	10 თებერვალი	აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის წინადადებების შემუშავებული დროებითი კომისია
6	31 მარტი	პუმანიტარულ საკითხთა საგანგებო ჯგუფი
7	2 აგვისტო	გაერთიანებულ კომისია 1993 წ. 27 ივლისის შეთანხმების შესასრულებლად
8	18 აგვისტო	კომისია (ავტ. რესპ. სტატუსის განსაზღვრის, ფუნქციების გამოცემის, დებულების ჩამოყალიბებისთვის)
9	18 აგვისტო	სრულმასშტაბიანი მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ჯგუფი
10	10 სექტემბერი	საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში მრჩეველთა სპეციალური ჯგუფი
11	13 ოქტომბერი	აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, რომლის ერთი ნაწილი იმუშავებს უშუალოდ სოხუმში სამხედრო ტყვეთა, მძევალთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საკითხების შემსწავლელი კომისია
12	24 ნოემბერი	აფხაზეთის პრობლემებზე მუშაობის საკოორდინაციო მტაბი
1994 წელი		
13	3 ივნისი	აფხაზეთიდან ლტოლვილთა სრულმასშტაბიანი დაბრუნების პრობლემათა მოსაგვარებელი მუდმივმოქმედი მტაბი
14	22 ივნისი	აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი
15	15 აგვისტო	აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისია
1995 წელი		
16	29 ივნისი	ოთხმხრივი კომისია ქ. ქენევაში 1994 წლის 2 სექტემბერს მიღებული შეთანხმების საფუძველზე ტყვეთა გაცვლისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისათვის
1996 წელი		
17	16 მარტი	აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომისია
18	21 მარტი	ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკური პრობლემებისა და კონფლიქტების მოწესრიგების საკითხში საქართველოს პრეზიდენტის პირადი წარმომადგენელი
19	8 მაისი	კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების საკოორდინაციო საბჭო
1997 წელი		
20	23 სექტემბერი	ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების კომისიების გაერთიანებული აპარატი
21	17 ოქტომბერი	ქართულ-ოსური კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ტერიტორიების აღდგენისა და განვითარების სამთავრობო კომისია
1998 წელი		
22	23 მაისი	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გალის რაიონის მოსახლეობის დახმარების სახელმწიფო კომისია
23	8 ივლისი	აფხაზეთის, პირველ ეტაპზე გალის რაიონის, ეკონომიკისა და სოციალური რეაბილიტაციის საგანგებო კომისია
2000 წელი		
24	21 ივლისი	საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის აპარატი
25	25 დეკემბერი	პოსტკონფლიქტური რეგიონების რეაბილიტაციის პროგრამის შემუშავებული კომისია
2002 წელი		
26	21 თებერვალი	საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლ ვეტერანთა, დღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა ოჯახების სამართლებრივი და სოციალური დაცვის ხელშეწყობის ეროვნული საკოორდინაციო საბჭო
2003 წელი		
27	13 ივნისი	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომიტეტი
2004 წელი		
28	13 აპრილი	კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
29	31 აგვისტო	საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების გადაწყვეტის პრობლემებზე სახელმწიფო უწყებათა საქმიანობის კოორდინაციის უწყებათაშორის საბჭო
2007 წელი		
30	13 აპრილი	დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე
2008 წელი		
31	8 თებერვალი	რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი


ცხრილი #2: საქართველოს მთავრობის სამშვიდობო სტრუქტურები 1990-2008 წწ.

წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით.

1991-2008 წლებში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ კონფლიქტების მოწესრიგების მიზნით შექმნილი 31 სტრუქტურა დაჯგუფდა მათი საქმიანობის ფუნქციური ხასიათისა და იერაქრიის მიხედვით, რაც დადგენილია საქართველოს კანონით აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 1995 წლის 8 დეკემბერს და ძალაში იყო 2008 წლის ჩათვლით. ამდენად, ეს სათათბირო ორგანოები (სამთავრობო კომისია, კომისიები და საბჭოები, სპეციალისტთა კომისია, სხვ.) პრეზიდენტთან იყვნენ ანგარიშვალდებული და თავისი საქმიანობით ხელს უწყობდნენ პრეზიდენტს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში.

ქალთა მონაწილეობა საქართველოს კონფლიქტების მოწესრიგების მიზნით შექმნილ სახელისუფლო სტრუქტურებში

როგორც წარმოდგენილ გრაფიკებში ჩანს, კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ 1990-იანი წლებიდან 2008 წლის აგვისტოს ომამდე სულ 41 სტრუქტურა შექმნა. ყველა სტრუქტურის ხელმძღვანელი პირი და წევრთა უმრავლესობა მამაკაცი იყო. ქალთა მონაწილეობა ამ სტრუქტურებში დაბალი პროცენტით გამოირჩეოდა. იხილეთ გრაფიკი №2.



როგორც გრაფიკი №2-ზე ნათლად ჩანს, საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში შექმნილი 41 სტრუქტურის წევრთა საერთო რაოდენობა 500-მდე აღწევს, თუმცა, მათ შორის ქალთა რაოდენობა დაახლოებით 30-ია, რაც, შესაბამისად, 6%-ია. სამწუხაროდ, რამდენიმე სტრუქტურის წევრთა დაზუსტებული რაოდენობის მოძიება ოფიციალური წყაროებით ხელმისაწვდომი არ აღმოჩნდა, თუმცა, სხვა საინფორმაციო ღია წყაროებით დასტურდება, რომ ქალთა წარმომადგენლობა აღნიშნულ სამშვიდობო ინფრასტრუქტურაში დაბალია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს

ხელისუფლების მიერ კონფლიქტების მოწესრიგების მიზნით შექმნილ სტრუქტურებში ქალთა მონაწილეობის პროცენტული რაოდენობა თითქმის შეესაბამება იმავე პერიოდის საქართველოს სახელისუფლო ორგანოებში (პარლამენტი, მთავრობა) ქალთა მონაწილეობის პროცენტულ რაოდენობას, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამშვიდობო ინფრასტრუქტურაში არცერთი ორგანოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ქალი არასოდეს დანიშნულა. თუმცა, იმავე დროს, უკვე იყო ქალი პარლამენტის თავმჯდომარე და მინისტრი ქალები.

ზემოთ მოტანილი მაჩვენებლები გვიჩვენებს, რომ საქართველოში, ქალები თანაბარ მონაწილეობას ვერ იღებენ და, შესაბამისად, აქტიურ გავლენას ვერ ახდენენ კონფლიქტების გადაჭრისა და სამშვიდობო პროცესების მიმდინარეობაზე, არ არიან ჯეროვნად წარმოდგენილნი საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურაში.

საქართველოს კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მიმართულებაში 1990-2008 წლებში იკვეთება სტიგმა, ტენდენცია, რომ კონფლიქტების მოგვარება მამაკაცების პრეროგატივაა. თუმცა, ეს ტენდენცია ნელ-ნელა, მცირედად შეიცვალა. მაგალითად, თუკი 1993 წელს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა შექმნა კომისია (ყოლბაია et al., 2000) ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრისა და ფუნქციების გამიჯვნის დებულების შესამუშავებლად და ამ კომისიაში გამწესებული 67 წევრიდან მხოლოდ 1 ქალი იყო, ათი წლის შემდეგ, მაგ.: 2004 წლის საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილ უწყებათაშორის საბჭოში 17-დან უკვე 4 ქალი იყო საბჭოს წევრი.

კვლევის ჩარჩოთი განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურების ძირითადი საქმიანობა დაკავშირებული იყო სამშვიდობო პროცესის შემადგენელ ოფიციალურ მოლაპარაკებებში მონაწილეობასა და სახელმწიფო ნორმატიული აქტების შემუშავებასთან. თუმცა, სამშვიდობო ინფრასტრუქტურებში ქალთა შეზღუდული მონაწილეობა, სავარაუდოდ, შესაბამის გავლენას იქონიებდა ორივე მიმართულების შედეგებზე.

სამომავლოდ, საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურის წიაღში ქალთა რაოდენობრივი მონაწილეობის შეფასებისას, მნიშვნელოვანია, ინფრასტრუქტურის ორივე მიმართულების საქმიანობისა და შედეგების გენდერული ანალიზი, თუმცა თავად ქალთა დაბალი რაოდენობრივი მონაწილეობა და, პრაქტიკულად, ნულოვანი წილი ამ სტრუქტურათა მმართველობაში ყოფნისა – თავის მხრივ, მიუთითებს საქართველოში ქალთა მონაწილეობის მიმართ ზერელე დამოკიდებულებაზე კონფლიქტების მოგვარების და მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით.

ლიტერატურა Literature Литература

1. Lederach, J. P. (1997). *Building Peace: Sustainable Reconciliation in Divided Societies*. Washington, DC: US. Institute of Peace Press.
2. UNO (2020). *Infrastructures for Peace*, New-York: UNPeace Infrastructures Portal.
3. Lederach, J. P. (2012, December). The Origins and Evolution of Infrastructures for Peace: A Personal Reflection. *Journal of Peacebuilding & Development*, 7 (3), 8-13.
4. Kovacs, B. A., and Tobias, P. (2016). Questioning Peace Infrastructure and Peace Formation. *Peace and Conflict Review*, 9 (1), 1-4.

5. Khutsishvili, G. (2013). The Reciprocal Impact of Unresolved Conflicts on the Process of Democracy Building - Georgia in the Regional Context. The South Caucasus 2018 Facts, Trends, Future Scenarios. Tbilisi: Konrad-Adenauer-Stiftung (KAS).
6. Dunkel, F., and Pavlova, K. (2018). Peace Practice, Peace and Conflict Consultant Program 2015-2018. Berlin: Conflict Transformation and Civic Education (CRISP).
7. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, 2004 წ. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/13528?publication=44>
8. საქართველოს კანონი აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ, 1997 წ. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებგვერდი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1230745?publication=17>
9. ყოლბაია, გ., ჭახრაკია, თ., გელანტია, რ., ლაცუზბაია, დ. (რედ.). (2000). აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში 1989-1999 წწ. ნაწილი I. თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

რეზიუმე

საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურა და ქალთა მონაწილეობა 1990-2008 წლებში

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი

სტატია საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურისა და ქალთა მონაწილეობის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის ერთ-ერთი პირველი მცდელობაა. ნაშრომში განხილულია საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა მიერ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებისთვის შექმნილი სტრუქტურები 1991-2008 წლებში. სტატიაში მიმოხილულია სამშვიდობო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების ისტორია, მოტანილია თანამედროვე საერთაშორისო მიდგომები; ნაშრომში გაანალიზდა კონფლიქტების მოწესრიგების მიზნით 1990-2008 წლებში შექმნილი საპარლამენტო და სამთავრობო ინსტიტუციები. ქალთა მონაწილეობა სამშვიდობო ინფრასტრუქტურაში განხილულია საქართველოს ვადდებულებათა კრილში. სტატიით გამოვლინდა, რომ ქალები არ იყვნენ შესაბამისად წარმოდგენილნი საქართველოს სამშვიდობო ინფრასტრუქტურაში და შეფასდა, რომ საქართველოში ქალები ვერ ახდენენ აქტიურ გავლენას, და ვერც თანაბარ მონაწილეობას იღებენ, კონფლიქტების გადაჭრისა და სამშვიდობო პროცესების მიმდინარეობაში. ნაშრომი ღირებულია დარგის სპეციალისტებისა და ხელისუფლების იმ წარმომადგენელთათვის, რომელთა საქმიანობაც პირდაპირ დაკავშირებულია საქართველოს სამშვიდობო პროცესთან.

SUMMARY

INFRASTRUCTURES FOR PEACE OF GEORGIA AND WOMEN'S PARTICIPATION IN 1990-2008

NINA TSIKHISTAVI-KHUTSISHVILI

The present Article is one of the first attempts to quantitatively and qualitatively analyze Georgia's peace infrastructure and women's participation. The Paper discusses the peace related structures established by the legislative and executive branches of the Government of Georgia for the peaceful settlement of conflicts in 1991-2008. The Article reviews the history of creation and establishment of peace infrastructure, offers modern international approaches. Women's participation in peace infrastructure of Georgia is discussed in the context of Georgia's commitments. The Article reveals that women were not equally represented in Georgia's peace infrastructure and assesses that women in Georgia are not able to actively influence or participate equally in conflict resolution and peace processes. The Article is valuable for the field specialists and Government representatives whose work is directly connected to the peace process of Georgia.

РЕЗЮМЕ

ИНФРАСТРУКТУРА МИРА ГРУЗИИ И УЧАСТИЕ ЖЕНЩИН В 1990-2008 ГГ.

НИНА ЦИХИСТАВИ-ХУЦИШВИЛИ

Настоящая статья, одна из первых попыток количественного и качественного анализа инфраструктуры мира Грузии и участия в ней женщин. Автор рассматривает структуры, созданные законодательной и исполнительной властями Грузии, для мирного урегулирования конфликтов в 1991-2008 годах. В статье приводится история создания концепции и становления инфраструктуры мира и современные международные подходы. Участие женщин в мирной инфраструктуре Грузии обсуждается в контексте обязательств Грузии. Статья выявляет, что малое количество женщин было представлено в инфраструктуре мира Грузии и показывает, что женщины в Грузии не могут активно влиять и участвовать в равной степени в разрешении конфликтов и мирных процессах. Статья ценна для специалистов и представителей правительства, чья работа напрямую связана с мирным процессом Грузии.